საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/2546
14/06/2022

2546-21-2-202206141512

შპს „დარჩის“
მის: თბილისი, მედეა (მზია) ჯუღელის ქუჩა №10, სართული 3, ლიტ. „ა“
ელ. ფოსტა: apapunashvili@grpc.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №8881 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება მესტიის მუნიციპალიტეტში შპს „დარჩის“ მდ. დარჩი-ორმელეთზე ჰიდროელექტროსადგურის (დარჩი ჰესი - 18 მგვტ) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობისა და დაგეგმილი ცვლილებების შესახებ და აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე შესაძლო ზემოქმედების თაობაზე;
- წარმოდგენილი Shp ფაილების გადამოწმებით დგინდება, რომ დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული მეორე სამშენებლო ბანაკი ხვდება მდ. დარჩი-ორმელეთის წყალდაცვით ზოლში. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში გათვალისწინებული უნდა იქნეს „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილების მოთხოვნები. გარდა ამისა, დოკუმენტში აღწერილი უნდა იყოს აღნიშნული ცვლილების განხორციელებით გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე შესაძლო ზემოქმედებები;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილ ნახაზებზე №1 და №2 სანაყაროებისათვის გათვალისწინებული ნაპირსამაგრი ნაგებობების გრძივი და განივი კვეთების შესახებ მოცემული ინფორმაცია არ არის იდენტიფიცირებადი;
- დოკუმენტში არ არის ინფორმაცია ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობაში გამოსაყენებელი ტექნიკისა (რაოდენობისა და ტიპების მითითებით) და სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობის შესახებ;

- დოკუმენტის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში მცირდება მცენარეულ საფარზე ზემოქმედება, თუმცა, წარმოდგენილი არ არის ცვლილებამდე და ცვლილების შემდგომ მცენარეულ საფარზე ზემოქმედების შემცირების შედარებითი ანალიზი. ამასთან 2.1.2 თავში აღნიშნულია, რომ სადაწნეო მილსადენის განთავსების ზოგიერთ ადგილას საჭირო იქნება მერქნული რესურსების გარემოდან ამოღება. დაზუსტებას საჭიროებს გარემოდან ამოსაღები მერქნული რესურსის შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია თევზამრიდ ნაგებობასთან დაკავშირებით დაგეგმილი ცვლილების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- წარმოდგენილ დოკუმენტში მოცემულია კალმახის ბიომასა, თუმცა აღნიშნული მონაცემი მიახლოებითია და არ არის მითითებული მისი განსაზღვრის მეთოდოლოგია. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო